ახალი ხარაგაული

№428 (3) 15 მარტი, 2021 წ.

ვერტყვიჭალასა და საღანძილეში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა დასრულდა

მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი შენგელიამ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, კობა გაბუნიამ, საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა პაატა კვიჟინაძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ მანანა ბარბაქაძემ საღანძილისა და ვერტყვიჭალის ახლად აშენებული ბაღები მოინახულეს.

საღანძილეში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ წელს პირველად დაიწყო ფუნქციონირება, რომელიც თანამედროვედ მოეწყო და აღიჭურვა. ბაღი 50 აღსაზრდელზეა გათვლილი და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდა.

ვერტყვიჭალაში აქამდე არსებული ბაღის შენობა ვერ აკმაყოფილებდა მომატებული კონტინგენტის მოთხოვნას და ამიტომ ახალი შენობის აგება გახდა საჭირო.

ორივე ახალი ბაღი ევროპული სტანდარტების მიხედვით აშენდა და ადაპტირებულია შშმ პირთათვის. მოეწყო შიდა და გარე სივრცეები, რეკრეაციული ზონები, კომუნიკაციები და სველი წერტილები. რაც შეეხება ინვენტარს, სათამაშოებისა და ყველა საჭირო რესურსის შეძენა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანანა ბარბაქაძის ძალისხმევით, ხევი-უბისას მონაკვეთზე (F2) ავტობანის მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებმა, ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღს საჩუქრები გადასცეს.

საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტებში ასეთი მასშტაბური პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილზე ახალგაზრდა ოჯახების დამაგრებასა და სოფლების გაძლიერებას.

„საღანძილესა და ვერტყვიჭალაში ძალიან კარგი საბავშვო ბაღები აშენდა, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. შენობები არის ორსართულიანი და იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება ბავშვთა რაოდენობა ჯგუფებში. მიხარია, რომ ჩემს სამაჟორიტარო ოლქში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად ხორციელდება და ბევრი პრობლემატური საკითხის მოგვარება ხდება“, -განაცხადა პაატა კვიჟინაძემ.

ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა პედაგოგებსა და აღსაზრდელებს ბაღების გახსნა მიულოცა და განმარტა, რომ ხელისუფლების პრიორიტეტი სწორედ მომავალ თაობაზე ზრუნვაა.

„ვაგრძელებთ სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობის ტენდენციას და ჩვენი სურვილია, საბავშვო ბაღები ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებდეს. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მმართველი პარტიის გუნდი ნამდვილად იმაზეა ორიენტირებულია, რომ მომავალ თაობას ღირსეული აწმყო შეუქმნას. ხარაგაულში კი ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ პატარებმა კომფორტულ გარემოში მიიღონ განათლება.“-აღნიშნა მერმა.

ვერტყვიჭალისა და საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატებმა - ლენა აბაშიძემ და დავით კიკნაძემ-ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადეს და ხაზგასმით ისაუბრეს სოფლებში საბავშვო ბაღების ფუნქციონირების საკითხზე. მათი განმარტებით, ყოველივე ეს მიგრაციის შემცირებას შეუწყობს ხელს და, ნაწილობრივ, დასაქმების პრობლემაც აღმოიფხვრება.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის ორ სოფელში ბაღების მშენებლობა „რეგიონული განვითარების ფონდიდან“ 1 400 00 ლარით დაფინანსდა. სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული გაერთიანებული კომპანია „იმერეთი და ხურო“ ასრულებდა.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბოლო წლების განმავლობაში 12 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა, რამდენიმეს კი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. ამჟამად მუნიციპალიტეტში ოცდაერთი სკოლამდელი დაწესებულება ფუნქციონირებს.

ხარაგაულის სოფლებში გზების რეაბილიტაციის მიზნით ტენდერი გამოცხადდა

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, მაღალმთიანი სოფლების-ნუნისისა და გოლათუბნის (სხვერის და სადგურ წიფის საუბნო) და ზედუბნის-გზების რეაბილიტაციის მიზნით, ხარაგაულის მერიამ ტენდერები გამოაცხადა.

უახლოეს მომავალში გამოცხადდება ასევე, ტენდერი ლეღვან-მარელისის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის მიზნით.

ეს ის პროექტებია, რომელთა განხორციელებაში მერია, რეგიონული განვითარების ფონდთან ერთად, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით შედის.

ზემოთ ხსენებული ოთხივე პროექტი გასულ წლებში უნდა დასრულებულიყო, თუმცა, რიგი მიზეზების გამო, სამუშაოები ვერ განხორციელდა და შემსრულებელ კომპანიებს ხელშეკრულებები შეუწყდათ.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით გამოცხადებული ტენდერები 19 მარტს დასრულდება.

ოთხივე პროექტის საერთო ღირებულება მილიონამდე ლარია, მათ შორის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება კი 160 386 ლარს შეადგენს.

მიმდინარე წელს ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად რეგიონული განვითარების ფონდიდან, პირველ ეტაპზე, 2 მილიონ 809 796 ლარი გამოეყო. ამ თანხით მუნიციპალიტეტში 15 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება, რომელთა უმრავლესობაზე სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

აქვე მოგახსენებთ, რომ გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ახალსოფლის გზის რეაბილიტაციას.

შპს „ჯეო როუდ ინვესტი“ ვალდებულია, სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან ოთხ თვეში დაასრულოს, რომლის საერთო ღირებულება 309 583 ლარია.

საკრებულოს თავმჯდომარემ „მანანა ბარბაქაძემ, ქალბატონებს საერთაშორისო საჩუქრები გაუგზავნა

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, ბორითის თემში მანდილოსნებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და პირადი სახსრებით შეძენილი სიმბოლური საჩუქრები გადასცა. შეხვედრაზე ქ-ნ მანანამ ხაზი გაუსვა იმ უმშვენიერეს მისიას, რომელიც ქალბატონებს აკისრიათ ქვეყნის ძლიერებასა და წინსვლაში.

ქალბატონებმა ყურადღებისა და დაფასებისათვის მადლობა გადაუხადეს საკრებულოს თავმჯდომარეს. ბორითის თემში მცხოვრებლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ, მანანა ბარბაქაძის ინიციატივით, ხშირად ეწყობა მსგავსი ტიპის საქველმოქმედო აქციები. მათივე თქმით, დეპუტატი კარგად იცნობს ბორითის თემის მცხოვრებთა საჭიროებებს და ცდილობს, შეძლებისდაგვარად, გაახაროს.

გარდა ამისა, „დედის დღეს“ ქ-ნ მანანას ძალისხმევით, მანდილოსნებს „ტკბილი ქვეყნის“ მიერ გამოგზავნილი საჩუქრები გადაეცათ.

ხარაგაულის მერია უკიდურესად ბაჭიჭველებულ ოჯახებს დაეხმარა

ხარაგაულის მერიაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემის თაობაზე იმსჯელეს. კომისიის სხდომას მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ხელმძღვანელობდა.

კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს თებერვლის თვეში შემოსული განცხადებები, რომელთა უმრავლესობა დაკმაყოფილდა. ჯამში დაფინანსების საერთო მოცულობამ 10 000 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივით, მიმდინარე წელს ერთჯერადი დახმარების ფინანსური ლიმიტი 100 ლარიდან 500 ლარამდე გაიზარდა.

აქვე მოგახსენებთ, რომ აღნიშნული კომისიის სხდომა ყოველთვიურად იმართება და ადგილობრივ ბიუჯეტში სოციალური მიმართულებით მილიონ ლარზე მეტია განსაზღვრული. საერთო ჯამში, 22 ქვეპროგრამა მოქმედებს, რომლის მიზანია, დაეხმაროს და ხელი შეუწყოს სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღებაში და სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულში სისხლის უანგაჩო დონორობა აქცია გაიმართა

„გაიღე სისხლი- გადაარჩინე სიცოცხლე“ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სისხლის უანგარო დონაციის აქციაში ჩაერთო.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა, თემის რწმუნებულებმა და სხვა სამსახურების წარმომადგენლებმა სისხლი უანგაროდ გაიღეს.

აქციის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი და მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი. ბ-ნმა ვარლამმა სისხლი პირადად გაიღო.

აღსანიშნავია, რომ ყველა დონორს ჩაუტარდა სისხლის გამოკვლევა და შედეგები პირადად ეცნობებათ.

ხარაგაულის მერმა, კობა ლურსმანაშვილმა, სისხლის უანგარო დონაციის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე ისაუბრა და აქციაში მონაწილე ყველა დონორს, რომელთაც გამოიჩინეს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, მადლობა გადაუხადა.

„მისასალმებელია, რომ მუნიციპალიტეტში მსგავსი ღონისძიებები ტარდება. ამ მხრივ გაწეული ქველმოქმედება უპირობოდ უკავშირდება სიცოცხლის შენარჩუნებას და ეს ყველაზე დიდი მადლია ადამიანთა მხრიდან მოყვასისთვის გაღებული.“-აღნიშნა მერმა.

შეგახსენებთ, რომ უანგარო დონაციის აქცია ქ. თბილისის მერიის სისხლის საქალაქო სადგურის ინიციატივით განხორციელდა, რომლის მიზანი გახლდათ ინფიცირებული მოქალაქეების დახმარება და სისხლის დეფიციტის შევსება.

ეკა შავიძე

სხლითში საგანმანათლებლო პროექტის განხორციელება იგეგმება

ხარაგაულის სოფელ სხლითში საგანმანათლებლო-კულტურული პროექტის განხორციელება იგეგმება. ამის შესახებ ისაუბრეს ხარაგაულის მერ, კობა ლურსმანაშვილთან, ქალაქ ვენის წმინდა ეფრემ ასურის სახელობის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა, ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრმა, ბერდიაკონ ეფრემმა (ლომიძე) და თეოლოგმა ერეკლე თურქაძემ, რომლებიც საქართველოში ახალგაზრდული ცენტრის „ნისიბის კავკასიას (Nisibis Kaukaus)“ თანადამფუძნებლები არიან.

სხლითში საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, ძირითადად, ქართველ და ევროპელ სტუდენტებს შორის გაცვლითი პროგრამების განხორციელებას გულისხმობს, რაშიც თავისთავად მოიაზრება შეხვედრების, სემინარების, ლექციების გამართვა.

შეხვედრაზე ისაუბრეს პროექტის განხორციელების პირველ ნაბიჯებზე, რომლისთვისაც ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა მზადყოფნა გამოთქვა, შესაძლებლობისა და კანონის ფარგლებში, ხელი შეუწყოს აღნიშნული პროექტის განხორციელებას, მით უმეტეს, როცა ეს ორ ქვეყანას შორის გაცვლით პროგრამებს ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო, კულტურული პროექტის მიზანია ქართული და დასავლური კულტურის, ხელოვნების, ქრისტიანობის უძველესი ტრადიციების მნიშვნელოვანი ასპექტების გაცნობა.

ეკა შავიძე

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევა აქტიურად მიმდინარეობს

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები ყოველდღიურად მიმდინარეობს. სოფლებში გამართულ კრებებს უშუალოდ ესწრებიან ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი, მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და მოადგილე დავით დევდარიანი. ძირითადად, მოსახლეობისათვის პრიორიტეტული საკითხები გარე განათების მოწყობა, გზისა და წყლის სისტემის რეაბილიტაციაა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხარაგაულის მერის გადაწყვეტილებით, ზოგიერთ პროექტზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდება თანადაფინანსება.

გთავაზობთ დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელ პროექტებზე:

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ლეღვანში გზის შეკეთება-გასწორხაზოვნება (ჭინალის უბანი) იგეგმება. მარელისში კი- წისქვილის რეაბილიტაცია (აღდგენა), წყლის მილების შესყიდვა (ცისკაძეების, მთისძირისა და ნაგუთის უბნები). წყლის მილების შესყიდვა და გზის რეაბილიტაციას ითხოვს პატარა სახვლარის მოსახლეობაც. დიდვაკის მცხოვრებთათვის კი პრიორიტეტული საკითხი სკვერის მოწყობაა.

სარგვეშში, მიროწმინდასა და საბეში (ცენტრალური და მაღალოურის უბნები) მოსახლეობას გარე განათების სისტემის მოწყობა სურს. ხორითში კი საუბნო გზები შეკეთდება.

ღორეშაში რეაბილიტირდება წყლის სათავე ნაგებობა, საუბნო გზები, არსებული წყლის ავზი და ასევე იგეგმება წყლის მილების შესყიდვა.

ნადაბურში პრიორიტეტული საკითხი გარე განათების სისტემის მოწყობაა. რაც შეეხება გოლისს, აქ გზის მობეტონებითი სამუშაოები განხორციელდება.

მოლითში შეკეთდება გზა, გარდა ამისა, მოხდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია და შეძენილ იქნება წყლის მილები. წყლის სისტემა რეაბილიტირდება ანეულასა და ბეჟათუბანშიც. ნებოძირში შეიძენენ წყლის მილებს და მოეწყობა გარე განათების სისტემა. ქვების მოსახლეობის სურვილია საუბნო გზების შეკეთება-მოხრეშვა (სკოლისა და ბასილაძეების უბნები, ახალი სასაფლაოს გზა) და გარე განათების სისტემის მოწყობა (ქვედა ქვები). ჭარტალში გზის შეკეთება, წყლის სისტემისა და გზის ნაპირზე მოცურების საწინააღმდეგო ბაგირის მოწყობაა საჭირო. ბაბის მცხოვრებნი საუბნო გზის შეკეთება-მოხრეშვასა და წყლის მილების შესყიდვას ითხოვენ. დეისში კი გარე განათებისა და წყლის სისტემის მოწყობის საკითხი განიხილება.

ლაშის, უჩამეთისა და ღვერკის მოსახლეობისათვის პრიორიტეტულს საუბნო გზების შეკეთება-მოხრეშვა წარმოადგენს. იგორეთსა (ილმის სერის უბანი) და ხემაღალში (სასაფლაომდე მისასვლელი გზის მობეტონება) გზის შეკეთება-მოხრეშვა იგეგმება.

კიცხსა და თეთრაწყაროში წყლის სისტემის მოწყობისა და სკვერის რეაბილიტაციის თემაა აქტუალური. თეთრაწყაროში ასევე მოეწყობა საბავშვო სკვერში ატრაქციონი და სოფელში არსებული წისქვილი რეაბილიტირდება. ბორის (ეკლესიამდე მისასვლელი გზა), საქარიქედისა და იგორეთის მოსახლეობა გზის შეკეთებას ითხოვს.

ბაზალეთში, ღარიხევსა და წიფში (ჭილოფისა და ბრუისის უბნები) ადგილობრივები გარე განათების სისტემის მოწყობას აპირებენ. წიფში ასევე დაგეგმილი აქვთ საუბნო გზების შეკეთება.

ზვარესა (ჭენჭეხის უბანი) და ნუნისში (დალალიშვილებისა და ლუტიძის ჩიხი) პრიორიტეტულ საკითხად საუბნო გზების შეკეთება-მოხრეშვა დასახელდა. ჩრდილში კი გარე განათებისა და წყლის სისტემის მოწყობა იგეგმება.

ვახანის მოსახლეობა, გამოყოფილი თანხით, ვახანის ციხემდე მისასვლელ და ცხადაძეების საუბნო გზების შეკეთებას გეგმავს. ასევე ინასარიძეების უბნისათვის შეისყიდიან წყლის მილებს და სერბაისთან დამაკავშირებელ წყლის საერთო მაგისტრალს მოაწყობენ. სერბაისის მოსახლეობის სურვილია გზაზე მოცურების საწინააღმდეგო ბაგირისა და ცხაურების მოწყობა. ზედუბანში კი- ჭაბურღილის მშენებლობა დასრულდება.

ხიდარში საუბნო გზა (შარიქაძეების, მასხარაშვილების, აბანოს, გურგენიძეების, ხეცაძეებისა და გელაშვილების უბნები) შეკეთდება.

ბორითში, ფაბრიკის უბანში, გარე განათების სისტემის მოწყობა და გზის შეკეთება იგეგმება. გზის შეკეთებასა (ჯამეების უბანი) და სანიაღვრე არხების მოწყობაზე შეჯერდნენ გოჭოურის უბნის მცხოვრებნი. გზის შეკეთებაა პრიორიტეტული ასევე კვესრევში, ამაშუკეთში, ციხისძირსა და უბისაში (სახვაძეებისა და სერის უბნები). წყლის ავზსა და მილებს შეისყიდიან ძინძიბოურისა და გაჩეჩილაძეების უბნებისათვის. მაქათუბანში სანიაღვრე არხი მოეწყობა (წიქარიშვილის უბანი), ასევე გზები (ბლუაშვილებისა და ცხოვრებაძეების უბნები). ვაშლევის მცხოვრებთათვის საუბნო გზების შეკეთება (გაღმა ვაშლევის უბანი) და გარე განათების სისტემის გაგრძელებაა პრიორიტეტული. საქასრიაში მოსახლეობა გზის მობეტონებასა (მევლუდი წიქარიშვილის უბანი) და გარე განათების სისტემის მოწყობაზე (რკინის ხიდის უბანი) შეჯერდა. ერთაში, გამოყოფილი თანხით, საუბნო გზის განმენდა და წყლის ავზის შესყიდვა გადაწყდა.

ფარცხნალში მოხდება საუბნო გზების შეკეთება - მოხრეშვა, წყლის მილების შესყიდვა, ხიდ-ბოგირისთვის მოაჯირის გაკეთება და სანიაღვრე არხის მოწყობა. ახალსოფელში სასაფლაომდე მისასვლელი გზა მოიხრეშება, ასევე შეიძენენ წყლის მილებს. ისლარში, გამოყოფილი თანხით, ხიდის შეკეთება, საცალფეხო ხიდ-ბოგირის მოწყობა, წყლის მილების შესყიდვა და წყლის ავზის დამონტაჟება იგეგმება.

ვარძიაში არსებული ჭაბურღილის მშენებლობა დასრულდება.

შეგახსენებთ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 890 000 ლარი გამოეყო. მოსახლეობასთან შეხვედრები 16 მარტს დასრულდება და მერია საპროექტო წინადადებებს მოსაწონებლად საკრებულოს წარუდგენს. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებულ პროექტებზე მომზადდება ხარჯთაღრიცხვები და ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ინფრასტრუქტურული სამუშაოები ზაფხულიდან დაიწყება.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მსახური ახმედ გოგოლაძე

შეუძლებელია, უფრო ღრმაშინაარსიანი, ყოვლისმომცველი სიტყვა შეუფარდო კაცს, რომელიც ნამდვილადაა თავისი ღვაწლით, თავდადებითა და მშობელი მიწის უკიდეგანო სიყვარულით ამ სიტყვის სინონიმი.

სამწუხაროდ, ჩვენ, „სანუთროს შვილები,“ სიცოცხლეში ხშირად ვერ მივაგებთ საკადრის პატივს პიროვნებებს, რომლებიც ჩვენ გვერდით ცხოვრობენ, შრომობენ და ქმნიან ისეთ ფასეულობებს, რაც ჟამშეუვალია, მარადიულია მომავალი თაობებისათვის. ასეთები ხშირად ძალზე უპრეტენზიონი არიან, იშვიათად ამახვილებენ ყურადღებას თავიანთ მძიმე ყოფით პრობლემებზე, არადა, ჩვენგან ცოტათი ხელის წაშველება ხომ უფრო მეტს შეაქმნევინებდა, უფრო გაამდიდრებდა მათგან დატოვებულ ფასდაუდებელ საგანძურს...

„დიდებული ადამიანები ხომ ხშირად უძეგლოდ იკარგებიან!..“ თუმცა, მათგან გამოსხივებული საოცარი ძალა „მღვიძარეა,“ შთაგონების წყაროა მათთვის, ვისაც უფლისაგან გამორჩეული ნიჭი აქვს ნაბოძები სხვათა ღვაწლის დაფასებისა, ღირსეულ წინაპართა „გაცოცხლებისა,“ მათთვის მარადიული ძეგლის დადგმისა... „რამეთუ მარადიულია სიტყუაი ჭეშმარიტი“ და მარადიულია ის ძეგლი, რომელიც ამ მკვიდრი მასალისაგან აიგება...

გიხაროდენ!

სწორედ ასეთი „სამშენებლო მასალისაგან“ აუგო ძეგლი „ხელთუქმნელი და უნეტარესი“ „დიდ წინაპართა გამცოცხლებელმა“ მწერალმა და ჟურნალისტმა, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, პატარა ხარაგაულის დიდ შვილს - ახმედ გოგოლაძეს...

ქალბატანი იზა ვეფხვაძის ავტორობით გამოცემული მე-13 წიგნი „ხარაგაულის მსახური ახმედ გოგოლაძე“ ქართული სიტყვის მადლით ქარგავს და აჩუქურთმებს იმ ოქროს ზოდს, რომელსაც ახმედ გოგოლაძის მზიანეთში ყოფნის 63 წელი ჰქვია...

***

სიტყვაქარგულობა, კაცურკაცობის მადლი და ნიჭიერება ზეიმობდა ხუთ მარტს აღნიშნული წიგნის პრეზენტაციაზე ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის (დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი) სამკითხველო დარბაზში. მეზობელი, ახლობელი თუ შთამომავალი სულიდან და გულიდან მომდინარე სიტყვებით ხაზს უსვამდა და ჯეროვან შეფასებას აძლევდა იმ ნათელ კვალს, რომელიც ზენაარისაგან მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულმა პატრიოტმა კაცმა აღბეჭდა ხარაგაულის ისტორიაში.

ერთია - ადამიანმა მყარი ნაფეხურები დააჩნიოს თავის გავლილ გზას და მეორეა - ამ გზის, ამ ნაფეხურებისა და აღბეჭდილი კვალის შესატყვისად შეფასება შეძლოს საზოგადოებამ.

პრეზენტაციაზე იყო რაღაც უჩვეულო, ამაღლებული, ბოლომდე შეუცნობი ჯადოსნური ძალა, რომლითაც გვეჩვენებოდა, რომ იმ წუთებში სწორედ ჩვენ გვერდით იყო ახმედ გოგოლაძე... იყო რაღაც ისეთი, რომლითაც წამიერად ქრება ზღვარი ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის, მყარდება საოცარი ჰარმონია- ბუნებრივი, ამამაღლებელი, შთამაგონებელი...

სწორედ ამგვარი შთაგონებით კვლავ გაიარა ჩვენ თვალწინ ათწლეულების წინ ხილულმა სურათებმა... აი, ზურგჩანთაკიდებულ ძია ახმედს, მისთვის საჭირო შემოქმედებითი „საზრდოს“ მოსაძიებლად, მხიარული ყიჟინით მიჰყვებიან უბნის ნორჩი „ახმედიონელები;“ აი, მისი პატარა შინამუზეუმიდან გაბადრული სახით გამოდიან ძია ახმედის თვითნაკეთი ნივთებით დასაჩუქრებულნი... აი, თითქოს ეს-ესაა ხარაგაულის სოფლებიდან საინტერესო „ნადავლით“ ბრუნდება ახმედი, უხარია, რომ კვლავ უამრავ ტოპონიმს მოუძებნა ახსნა, კვლავ ბევრი უცნობი იმერული დიალექტი ამომზეურდა ზურგზე „მოკუტიალებული“ ჩანთიდან... ეს-ესაა ეწვია მუზა და ნებისმიერ საყრდენთან გამალებით წერს ახალი ლექსის სტრიქონებს... ბოლოს კი ადის სცენაზე ისე, როგორც ამ წერილის ავტორს ახსოვს, როცა კულტურის სახლში პირველად წაიკითხა ლექსი „ბაქანზე ერთი გოგონა იდგა...“ თითქოს ისევ გადაიჯვარედინა ხელები გულზე და სიყვარულის სხივჩამდგარი თვალები მიმოავლო მშვენიერ დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას, ჯერ მაღლა, ღვთისაკენ აიხედა, შემდეგ თავდახრით უთხრა მადლობა ყველას, უკლებლივ ყველას იმ დიდი სიყვარულისათვის, რომლითაც დამარცხდა მისი კოშმარული მარტოსულობა და კვლავ „დაუბრუნდა“ თავდადებული მსახურის ამპლუაში თავის სანატრელ ხარაგაულს...



ახმედ გოგოლაძე „დაბრუნეს„: ძირულის ხეობის მრევლის კეთილმა მწყემსმა მამა პეტრემ (კურტანიძე); უნიჭიერესმა იზა ვეფხვაძემ; უმცროსმა ვაჟკაცმა ანდრია გოგოლაძემ; თვალხატულა შვილიშვილმა ბარბარე გოგოლაძემ; უსაყვარლესი დის, რაისა გოგოლაძე-ბარბაქაძის, ღირსეულმა შვილებმა - ზურაბ და ბადრი ბარბაქაძეებმა; ძმის შვილიშვილმა სიმონ კოტენკოვმა; სამზეოს ახლახან განშორებულმა კარგმა ხარაგაულელმა გივი ვეფხვაძემ წიგნით - „მახსოვს ხარაგაული“ და ფილმით - „ხსოვნა;“ ნაადრევად წასული, ახმედზე უსაზღვროდ მზრუნველი ვაჟკაცის, ნოდარ ჭანკოტაძის, მეუღლემ - ნინო მაღლაკელიძემ; ხარაგაულის კოლორიტმა, არაერთათვის კაცურკაცობის მადლით ხელგამწვდომმა იუზა (ვალოდა) კელენჯერიძემ; ბავშვობაში „ახმედის რაზმის“ აქტიურმა წევრმა გელა ბუაჩიძემ; კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა; ხარაგაულის მაღალინტელექტუალურმა საზოგადოებამ; სამეზობლომ; სამეგობრომ; სანათესაომ...

* * *

ხარაგაულის წიგნიერი საზოგადოება მადლობას უხდის გამომცემლობა „ივერიონს“ და მის დირექტორს, აღნიშნული წიგნის რედაქტორს, ბატონ ზაურ ნაჭყებიას, ყველა იმ პიროვნებას, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ახმედ გოგოლაძის ღვაწლის ამსახველი წიგნის გამოცემაში.

გაცნობებთ, რომ ახლო მომავალში წიგნის პრეზენტაცია გაიმართება ახმედ გოგოლაძის მშობლიურ სოფელ ღორეშაში და სოფლის მოსახლეობა ღირსეულ პატივს მიაგებს თავისი საამაყო შვილის ნათელ ხსოვნას.

* * *

საგაზეთო წერილი მინდა, დავასრულო ახმედ გოგოლაძის ლექსით, რომელშიც სიცხადით ირეკლება, რომ მის დავიწყებას ერთი კონკრეული პიროვნება კი არა - ვერვინ ვერ შეძლებს:

„უკვე მრავალი წელი გავიდა,
წავისაუბროთ, მოდი, ამჯერად!
მე ვერ შევძელი დამვიწყებოდი,
შენ დამივიწყე?! არა, არ მჯერა.
ბედმა თუმც იცის მოგვერდი, ყირა,
მასთან ფანდებით ვერაფერს გახვალ,
გაივლის კიდევ მრავალი წელი,
თუ დამივიწყებ, იმასაც ვნახავ!“

ჭეშმარიტად!

P.S. მინდა, გაზეთ „ახალი ხარაგაულის“ მკითხველს ვაცნობო სასიხარულო ფაქტი: უამრავი ჯილდოს მფლობელ ქალბატონ იზა ვეფხვაძეს კიდევ ერთი საპატიო წოდება მიენიჭა და გახდა ფაზისის ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, აკადემიკოსი.

გიხაროდენ!..

მერი გიორგიძე

ხარაგაულის კლინიკა პაციენტებს მაღალკვალიფიციურ მომსახურებას სთავაზობს

ხარაგაულის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი მრავალპროფილურ საქმიანობას დაუბრუნდა. კლინიკა ბოლო ერთი თვეა, აღარ ემსახურება კოვიდპაციენტებს და მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს. მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, 24 საათის განმავლობაში მიიღოს საჭირო მომსახურება და ჩაიტაროს მათთვის სასურველი გამოკვლევები. აქ მომუშავე მედიცინის ჯგუფი შედგება სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან, რომლებიც ერთად ქმნიან პაციენტის გამოჯანმრთელებისათვის საუკეთესო პირობებს. საავადმყოფოს დირექტორი გიორგი ამურველაშვილი გახლავთ, რომელსაც სამედიცინო განათლება აქვს და წლების განმავლობაში მუშაობს სხვადასხვა კლინიკებში ხელმძღვანელ პოზიციებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ნამდვილად გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, კვალიფიკაციითა და პაციენტებთან ურთიერთობის მაღალი კულტურით.

როგორ მიმდინარეობდა კლინიკაში კოვიდპაციენტების მკურნალობა, ჰქონდა თუ არა რაიმე გართულებებს ადგილი და რა სერვისებს სთავაზობს ამჟამად სამედიცინო დაწესებულება პაციენტებს, ამის შესახებ გიორგი ამურველაშვილს პირადად ვესაუბრეთ.



-გასული წლის ოქტომბრიდან 2021 წლის 15 თებერვლამდე ხარაგაულისა და ბორითის სამედიცინო ცენტრი მუშაობდა კოვიდინფიცირებულებთან. ამ პერიოდის განმავლობაში მივიღეთ 179 პაციენტი, როგორც ხარაგაულიდან, ასევე სხვადასხვა ქალაქიდან. ჩვენი გუნდი დაუღალავად და მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურებოდა თითოეულ მათგანს, თუმცა იყო გართულებებიც, ასეთ შემთხვევაში კი რეფერირებას ვახდენდით შესაბამის კლინიკაში. სამწუხაროდ, ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა პაციენტის გარდაცვალება.

უნდა აღინიშნოს, რომ კოვიდპაციენტების მართვის საკითხში ერთ-ერთი საუკეთესოები გახლდით, ამის თქმის უფლებას მაძლევს არაერთი მადლიერი პაციენტი, რომლებიც საჯაროდ გამოხატავდნენ ამ ყველაფერს. ჩვენი მხრიდან კი მათ ნამდვილად არ აკლდათ ყურადღება, უზრუნველყოფილი იყვნენ როგორც საკვებით, ასევე- მედიკამენტებით.

უსაფრთხოების მიზნით, ყოველკვირეულად ხდებოდა მედპერსონალის ტესტირება და ამ დრომდე კლინიკაში ინფიცირების არც ერთი შემთხვევა არ გვქონია. ზოგადად, ამ ეტაპზე ხარაგაულში ინფიცირებულთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, თუმცა ამან არ უნდა გაგვათამამოს, აუცილებლად უნდა დავიცვათ რეკომენდაციები და ვატაროთ პირბადე.

-ბატონო გიორგი, როდესაც სამედიცინო დაწესებულება კოვიდცენტრად გადაკეთდა, იყო თუ არა შესაძლებელი ამბულატორიული მომსახურება?

-გარკვეულ ეტაპზე ამბულატორიული მომსახურება ვერ ხერხდებოდა, რადგან ყოველივე ეს საკმაოდ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. თუმცა, მოსახლეობის დიდი მომართვიანობის გამო, იანვრიდან, წინასწარი ჩაწერით, რეგულაციების სრული დაცვით, პაციენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ამბულატორიული მომსახურება მიეღოთ. ამ ეტაპზე კლინიკა ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას და იმედს გამოვთქვამ, უახლოეს მომავალში მაქსიმალურად დაიტვირთება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მოქალაქეებს ადგილზე შეუძლიათ მიიღონ სამედიცინო კონსულტაციები წამყვან სპეციალისტებთან. ჩვენთან ყველა საჭირო ამბულატორიული და დიაგნოსტიკური კვლევების უმრავლესობა ტარდება.

-გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება კოვიდვაქცინასთან დაკავშირებით.

-არ ვიცი, როდის და რა ტიპის ვაქცინა შემოვა, თუმცა ცნობილია, რომ პირველ ეტაპზე მედპერსონალი აიცრება. აქვე გეტყვით, როგორც რიგითი მოქალაქე და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი, ვაქცინას აუცილებლად გავიკეთებ. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, პირიქით- თუ გვინდა, ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდეთ, ეს ნაბიჯი ყველამ უნდა გადადგას. არ ახსოვს ისტორიას, რომელიმე პანდემია ვაქცინაციის გარეშე დამარცხებულიყოს და დღეს ცოტა გაურკვეველია, რატომ არის ამ საკითხის მიმართ ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება.

-გვესაუბრეთ კლინიკაში არსებულ სერვისებზე, რამდენად გამართულად მუშაობს სამედიცინო დაწესებულება.

-საქართველოს მასშტაბით, ხარაგაულის საავადმყოფო ერთ-ერთი საუკეთესოა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და საერთაშორისო სტანდარტის ნორმებს შეესაბამება. აღსანიშნავია, რომ კლინიკაში უკვე სამი წელია, ფუნქციონირებს რეანიმაციული განყოფილება, სადაც განთავსებულია მაღალტექნოლოგიური აპარატურა, მათ შორის, სასუნთქი აპარატი და მონიტორული სისტემა. გარდა ამისა, პაციენტებს ადგილზე შეუძლიათ, მიიღონ ქირურგიული, თერაპიული, ასევე გეგმიური და გადაუდებელი სერვისები, ასევე კვირაში სამი დღე ექოსკოპიური გამოკვლევები გაიკეთონ. აქვე აღვნიშნავ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების დროს, პირველ რიგში, აუცილებელია დროული დიაგნოსტიკა. ამიტომ, როდესაც ადგილზე ასეთი თანამედროვე ტიპის სამედიცინო დაწესებულებაა, სხვაგან წასვლაზე არ უნდა ვიფიქროთ. აქ მომუშავე მედპერსონალი ორიენტირებულია პაციენტების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, რითვისაც მადლობა მინდა, გადავუხადო თითოეულ მათგანს.

- როგორც ვიცით, კლინიკაში ოპერაციებიც ტარდება. კონკრეტულად რა სახის ქირურგიული მომსახურებაა შესაძლებელი?

- დიახ, ჩვენს კლინიკაში წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა სახის ქირურგიული ოპერაციები, (ბრმანაწლავი, თიაქარი, თვალი, გლანდები) რომლებსაც თბილისიდან მოწვეული სპეციალისტები ატარებენ. გვაქვს კეთილმოწყობილი საოპერაციო ბლოკი, სადაც მაქსიმალურად დაცულია პაციენტის უსაფრთხოება. ოფთალმოლოგიურ ოპერაციებს აკეთებს ბ-ნ საშა ალექსიძე, რომელიც ამჟამად რესპუბლიკურში ოფთალმოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელია. არაჩვეულებრივი ქირურგები არიან ვახტანგ მატარიძე, ლევან კობახიძე და მალხაზ ბურნაძე, მათ ამ სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ და თავისი საქმის პროფესიონალები არიან. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ოპერაციები ტარდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში და, უმეტეს შემთხვევაში, პაციენტები სრულად ფინანსდებიან.

-სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებს რამდენიმე თვის სახელფასო დავალიანება ჰქონდათ. ამ მიმართულებით რაიმე ცვლილებები ხომ არ განხორციელდა?

-სახელფასო დავალიანება წლებია, მოგვყვებოდა და ამ საკითხის მოსაგვარებლად აქტიურად მუშაობდა რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ნუგზარ ბოლქვაძე. რამდენიმე ხნის წინ ეს პრობლემა აღმოიფხვრა და მედპერსონალს სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა. აქვე დავამატებ, რომ კოვიდპაციენტებთან მუშაობის პერიოდში, თანამშრომლები გაცილებით მაღალ ანაზღაურებას იღებდნენ, ვინაიდან მათ ურთულეს პირობებში უწევდათ საქმიანობა და მისასალმებელია, რომ სახელმწიფომ ამ ადამიანების მიმართ ყურადღება გამოიჩინა.

-რას ეტყოდით პაციენტებს?

-ჩემთვის ყველა პაციენტი ძვირფასია. ვცდილობ, მათ ისე ვესაუბრო, როგორც ჩემი ოჯახის წევრს, დავეხმარო და, შეძლებისდაგვარად, გვერდით დავუდგე. გულწრფელად გეტყვით, რომ კლინიკიდან წასული მადლიერი ადამიანი დიდ სტიმულს მაძლევს, კიდევ უფრო შემართებით ვემსახურო იმ საქმეს, რომელიც მეტად საპასუხისმგებლოა, მაგრამ ამავდროულად ძალიან საინტერესო. აუცილებლად ვითვალისწინებ ყველა კომპონენტს, რომელიც საზოგადოების საჭიროებებზეა ორიენტირებული. ჩემი მიზანია, ხარაგაულის მოსახლეობა მაღალი სამედიცინო მომსახურებით იყოს უზრუნველყოფილი და გვყავდეს, რაც შეიძლება, ბევრი კმაყოფილი პაციენტი. კლინიკაში კი ამისთვის ყველა სამედიცინო რესურსი და ინტელექტუალური პოტენციალია.

ეკა შავიძე
თამარ მაღრაძე

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის საქმიანობა დადებითად შეფასდა



პირველ მარტს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის საქმიანობის ანგარიში მოისმინეს, რომელიც კომისიის თავმჯდომარემ ოთარ ლურსმანაშვილმა წარმოადგინა. ბ-ნ ოთარმა ვრცლად ისაუბრა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ და დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებსაც უპასუხა. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც კოლეგებთან ერთად შეიმუშავა.

„კომისია აქტიურად იყო ჩართული 2020-2021 წწ. ბიუჯეტის პროექტების განხილვასა და დამტკიცებაში. საკრებულოს თავმჯდომარესთან, კომისიებთან და აპარატთან ერთად ვიმუშავეთ იმ ხარვეზების გამოსწორებაზე, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის მიერ იქნა გამოვლენილი. ასევე, იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ მოისმინა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის ანგარიშები და გასცა შესაბამისი დასკვნები. განვიხილეთ სოფელ ღორეშაში ცენტრალური გზის სახელდების საკითხი და აღნიშნულ ქუჩას ამ სოფლის მკვიდრის, აფხაზეთის ომის მონაწილის, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერის მფლობელის, გელა კაპანაძის, სახელი მიენიჭა.“ -განმარტა ოთარ ლურსმანაშვილმა.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა რომ იგი აქტიურად მუშაობდა საკრებულოში შექმნილ დროებით კომისიებთან და ჩართულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მუშაობაში.

დეპუტატებმა იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის საქმიანობა დადებითად შეაფასეს.

მარიამ შარიქაძე

თემურ ბლუაშვილი 70 წლის გახდა

ხარაგაულის საზოგადოების ერთ-ერთ გამოჩენილ წევრს, თემურ ბლუაშვილს, საიუბილეო 70 წელი ახლახან შეუსრულდა. დღეს ის გაზეთ „ახალი ხარაგაულის“ რესპონდენტია;

-ბატონო თემურ, გვიამბეთ თქვენი ცხოვრების განვლილი წლების შესახებ.

-დავიბადე და გავიზარდე სოფელ ვერტყვიჭალაში. სკოლაში ცუდად არ ვსწავლობდი. კარგი პედაგოგების წყალობით, ჯეროვანი განათლება მივიღე. 1968 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე, რომლის დასრულების შემდეგ ვმუშაობდი ხევის საშუალო სკოლაში. მასწავლებლობა დიდად არ მიზიდავდა. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, ხარაგაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დავიწყე მუშაობა მეცნიერ მუშაკის სტატუსით. ერთი წლის შემდეგ გაზეთ „ლენინის დროშის“ რედაქციაში გადამიყვანეს სამუშაოდ. ეს გაზეთის მაშინდელი რედაქტორის, ქალბატონ ქეთევან სახვაძის დიდი დამსახურება იყო. საამაყოა, რომ ვმუშაობდი ისეთი გამორჩეული ჟურნალისტების გვერდით, როგორებიც იყვნენ: სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრები - ირაკლი ხაჩიძე, ზაირა აბაშიძე, ავთანდილ ხიჯაკაძე, ჟორა ჭანტურია და სხვები. რამდენიმე წელი გამგეობაში ვიმსახურე. შემდეგ იყო ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში ექვსწლიანი შრომა, ქალბატონ ლენა აბაშიძის ძალისხმევით. 2014 წლიდან კი ვერტყვიჭალის კულტურის სახლს ვხელმძღვანელობ.

-ბატონო თემურ, როგორია თქვენი ცხოვრების კრედო?

-რომაელებს ჰქონდათ ორი ასეთი შეგონება: ერთი - „იჩქარე ნელა,“ მეორე -„გახსოვდეს სიკვდილი.“ სწორედ რომ ასეა: ადამიანმა გონივრულად უნდა იცხოვრო, რომ სიკვდილის შემდეგ აუგად არ მოგიხსენიონ. აი, ეს გახლავთ ჩემი ცხოვრების კრედო ის, რაც ერთხელ ჩემს ვაჟს, თორნიკეს, ლექსად ვუთხარი. „გიყვარდეს შენი მიწა, მთა-ველი, ანუ იგივე მთლად საქართველო, კაცურკაცობის გეხუროს ქუდი და გაიტანე ბოლომდე ღელო.“

-თქვენი ჟურნალისტური საქმიანობა რომელ რედაქტორებთან გაკავშირებდათ?

-პირველი რედაქტორი ქალბატონი ქეთევან სახვაძე იყო, რომელიც წერის მაღალი კულტურით გამოირჩეოდა და ძალზე მომთხოვნი იყო სამსახურებრივ საქმიანობაში. ამავე დროს ძალზე გულთბილი პირად ურთიერთობაში.

შემდეგ ბატონი ავთანდილ ხიჯაკაძე დაინიშნა რედაქტორად. იგი ჩემს აზრს ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდა. მისი რედაქტორობისას, როცა გაზეთი გათავისუფლდა კომუნისტური რუტინისაგან, ბევრი საინტერესო მასალა ქვეყნდებოდა მორალურ თუ ყოფით საკითხებზე. მკითხველი ბევრჯერ გვეხმაურებოდა ასეთ წერილებზე.

2007 წელს ერთი წლით მიმიწვიეს სამუშაოდ თქვენს წინამორბედ გაზეთში. რედაქტორად ინგა ბერაძე მუშაობდა. ბევრ დავალებას ვღებულობდი მისგან, ვინაიდან გამოცდილ ჟურნალისტად მთვლიდა.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და გავიხსენო ჩემი კოლეგები: ნანი შარიქაძე, მაია ტორაძე, იზა ვეფხვაძე, რომელთა სტატიები გონივრული მიგნებებით გამოირჩეოდა. იგივე უნდა გითხრათ ლევან შარიქაძეზე, რომელიც რამდენიმე წელი ჩვენთან მუშაობდა.

ძალზე დამწყვიტა გული გონერი ლომიძის გარდაცვალებამ. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ფოტოკორესპონდენტად. მისი ფოტოები კარგად ასახავს რაიონის წარსულს.

-ბატონო თემურ, რას გვეტყვით თქვენი შვილების შესახებ და რა არის თქვენთვის ოჯახი?

-ოჯახი ქვეყნის ძლიერების ქვაკუთხედია. ოჯახში ყალიბდება ადამიანი, რომელიც შემდეგ წარმოაჩენს თავის სამშობლოს, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით. ვაი იმ ოჯახს, რომელიც შვილებს სათანადოდ ვერ აღზრდის.

ჩემმა მეუღლემ, გულნაზი აბრამაშვილმა, მთავარი როლი შეასრულა შვილების აღზრდაში. უფროსი, თამთა, ფიზიკა-მათემატიკის მაგისტრია. ასწავლის თბილისის ვალდორფის თავისუფალ სკოლაში.

თეა ქარელის რაიონის ბრეთის საჯარო სკოლის მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებელია. როგორც ფორტეპიანოს სპეციალისტი, დედის გავლენით ჩამოყალიბდა.

თორნიკე შვეიცარიაში სწავლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. მსახიობია. ნათამაშები აქვს რამდენიმე როლი გერმანულენოვან სპექტაკლში, მათ შორის, თბილისშიც. დღეისათვის მოღვაწეობს თავისი სპეციალობით. დაინტერესებულია ტურიზმის ბიზნესით.

-ურთიერთობა კოლეგებთან და საზოგადოებასთან...

-ძალზე მშვიდი, გაწონასწორებული, იუმორნარევი. სხვაგვარი ურთიერთობა ვერ წარმომიდგენია. იშვიათად გავფიცხებულვარ, მაგრამ არა ჩემი მიზეზით. დიდ პატივს ვცემ ხარაგაულის საზოგადოებას, რომელმაც თავი ძალიან კარგად დამამახსოვრა.

-ამჟამად რას საქმიანობთ?

-2014 წლიდან ვხელმძღვანელობ ვერტყვიჭალის კულტურის სახლს. პარალელურად ვმუშაობთ თემაზე „ემიგრანტი.“

დიდი სიამოვნებით ჩავრთავ ამ კონკურსში ნებისმიერ მსურველს, ვისაც ხელეწიფება შემოქმედებითი წერა. ასევე, ბევრი საზრუნავი გამიჩინა ჩემი ნოველისა და მინიატურების წიგნად გამოცემის აუცილებლობამ. გარდა ამისა, მინდა, მეგრულში მოვსინჯო კალამი და ვნახოთ, რა იქნება...

მარიამ შარიქაძე

ანუშკა ჩხეიძის ახალი მუსიკალური ალბომი - MOVE 20-21

ხარაგაულელი 22 წლის მუსიკოსის, ანუშკა ჩხეიძის, წარმატებები გრძელდება. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ანუშკა ჩხეიძემ სადებიუტო ალბომი „Halfie“ გამოაქვეყნა, რომელიც ადამიანებს ქუჩებიდან ეძღვნებოდა. იგი ქართულ ლეიბლზე, CES Records -მა გამოსცა და რელიზში სულ 8 კომპოზიცია შევიდა.

სასიხარულოა, რომ 2020 წლის მიწურულს ანუშკას პირველმა ალბომმა მუსიკალური ხელოვნების კატეგორიაში „წინანდლის პრემია“ მოიპოვა. მიმდინარე წლის იანვრის თვეში კი ანუშკამ ჰოლანდიური ფესტივალის „ESNS 2021-ის“ გახსნაზე დაუკრა. ფესტივალი, პანდემიიდან გამომდინარე, ციფრულ ფორმატში ჩატარდა. Eursonic Noorderslag ეს არის ერთ-ერთი დიდი მუსიკალური გამოფენა -ფესტივალი, რომელიც მიზნად ისახავს ერთმანეთში მუსიკის გაცვლას და არტისტების აღმოჩენას. ფესტივალის გახსნაზე ანუშკამ, როგორც სადებიუტო ალბომიდან „halfie“, ასევე ახალ ალბომში შესული კომპოზიციები შეასრულა.

სულ ცოტა ხნის წინ კი ალბომი „Halfie“ დამოუკიდებელი მუსიკალური კომპანიების ასოციაცია IMPALA-ს წლის საუკეთესო ევროპული დამოუკიდებელი ალბომის ნომინანტი გახდა.

2021 წლის 5 თებერვალს ანუშკა ჩხეიძემ რიგით მეორე ალბომი გამოუშვა სახელწოდებით „MOVE 20-21“, რომელშიც 10 კომპოზიციაა შესული. მეორე ალბომიც ქართულ ლეიბლზე - CES Records გამოიცა.

გვეამაყება, რომ ახალგაზრდა ხარაგაულელი მუსიკოსის, ანუშკა ჩხეიძის, შემოქმედებითი ცხოვრება წარმატებებითა და წინსვლებითაა აღსავსე. ამ ყველაფრის შესახებ თავად ძალიან თავმდაბლურად გვესაუბრება.

- თქვენ გახდით ზურაბ ჟვანიას სახელობის „წინანდლის პრემიის“ მუსიკალური ხელოვნების კატეგორიის გამარჯვებული. რას ნიშნავს ეს გამარჯვება თქვენთვის?

-ჩემთვის ეს პირველი კონკურსი იყო და აქ გამარჯვებამ გამიმყარა რწმენა, განვაგრძო ჩემი საყვარელი საქმის კეთება. ისეთ კლასიკურ პრემიაში, როგორიც ზურაბ ჟვანიას სახელობის „წინანდლის პრემიაა“ ელექტრონული მუსიკა პირველად გამოჩნდა და აქ გამარჯვებით მუსიკის ამ ჟანრმა თავისი სათქმელი თქვა.

-გვესაუბრეთ მეორე ალბომზე „MOVE 20-21“

-ჩემს მეორე ალბომს „MOVE 20-21“ - ჰქვია. ქართულად -მოძრაობა 2020 წლიდან 2021 წლისაკენ. ალბომი 2020 წლის შემოდგომაზე შეიქმნა და ასე ჟღერს: რეალობა წარსულისა და მომავლის ანარეკლს წარმოადგენს. დიახ, ეს წელი რთული იყო და ამ ალბომში მთელი ჩემი განწყობა მაქვს ჩადებული. ყველა ტრეკის სახელი ჩემი განწყობების თამაშის მიხედვით არის შერჩეული. გონებით მოგზაურობა დროსა და სივრცეში ესაა „MOVE 20-21“.

-ევროპის დამოუკიდებელი მუსიკალური კომპანიების ასოციაცია „IMPALA-მ“ თქვენი სადებიუტო ალბომი გასული წლის 25 ფავორიტ ნამუშევარს შორის შეიყვანა. როგორ შეხვდით ამ ფაქტს და რას ნიშნავდა ეს თქვენთვის, როგორც ახალგაზრდა მუსიკოსისთვის?

-„წინანდლის პრემიის“ შემდეგ იმპალას (ევროპის დამოუკიდებელი მუსიკალური კომპანიების ასოციაცია) ნომინანტობა ჩემთვის ძალიან დიდი მოტივაციაა. თავიდან ვერ წარმოვიდგენდი, რომ ისეთი დიდი არტისტების გვერდით ბოლო ადგილზე არ აღმოვჩნდი. იმპალა ჩემი მოტივატორი გახდა.

-ანუშკა, ჰოლანდიური მუსიკალური გამოფენა -ფესტივალი თქვენ გახსენით, ამაზეც რომ გვესაუბროთ...

-იმპალას ნომინანტი მას შემდეგ გავხდი, რაც ჰოლანდიურ მუსიკალურ გამოფენა -ფესტივალზე მონაწილეობა მივიღე. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ფესტივალის ორგანიზატორებმა CES Records მოულოცეს ჩემი სადებიუტო ალბომი და გამოთქვეს სურვილი, ფესტივალში მონაწილეობა საქართველოდან სწორედ მე მიმეღო. ჩვენც, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით დავთანხმდით. მათთან დღემდე აქტიურად ვურთიერთობ, ვიღებ ახალ შეთავაზებებს. მათთან კომუნიკაცია გვაძლევს შესაძლებლობას, გავეცნოთ საინტერესო სიახლეებს ევროპული მუსიკალური კონკურსებისა და პროექტების შესახებ.

-როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

მეორე ალბომის შემდეგ, ცოტა ხნით დასვენებას ვაპირებ. მინდა, მუსიკამ თავის გზა იპოვოს. სულ მალე ფილმი გამოვა. ეს იქნება ვიდეოალბომი, რომელზეც ათმა არტისტმა იმუშავა.

ამ ეტაპზე გორის ქალთა კამერულ გუნდთან ერთად ვმუშაობ და დიდი იმედი გვაქვს, რომ ნამუშევრის ჩვენებას ივნისში, ღია ცისქვეშ, შევძლებთ.

მარიამ შარიძაძე

სახელოვნებო წრეები და თეატრები მუშაობას 15 მარტიდან განაახლებენ

თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ, ხარაგაულის ბიბლიოთეკებმა და მუზეუმმა უსაფრთხოების სრული დაცვით, ფუნქციონირება განაახლეს, 15 მარტიდან კი სახელოვნებო წრეები და თეატრებიც ეტაპობრივად დაიწყებენ მუშაობას.

როგორც ჩვენთან საუბარში კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი აღნიშნავს, ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი დაგეგმილი პროექტი და ღონისძიება დარჩა განუხორციელებელი, შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნის შემდეგ კი, მუშაობას ახალი ხედვებითა და ენთუზიაზმით იწყებენ. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ 25 საბიბლიოთეკო განყოფილებაა, აქედან სამი- დაბაში. პანდემიიდან გამომდინარე, არსებული შეზღუდვების გამო, მხოლოდ რამდენიმე სოფლის ბიბლიოთეკა მუშაობდა. კერძოდ, წიგნების გადაცემა დისტანციის სრული დაცვით ხდებოდა და საქმიანობას ვაჩერებდით იმ შემთხვევაში, თუ სოფელში ინფიცირებულთა რიცხვი მოიმატებდა. სიახლეა ისიც, რომ გასული წლის ნოემბრის თვეში, საქართველოს საბიბლიოთეკო ფონდიდან საჩუქრად ვაუჩერი გადმოგვეცა. ჯამში 10 ათასი ლარის ახალი წიგნი შემოვიტანეთ, რომელიც გადაეცათ, როგორც სოფლის ბიბლიოთეკებს, ასევე დაბაში არსებულ წიგნსაცავს. რაც შეეხება კულტურულ ღონისძიებებს, ამ მიმართულებით ბევრი საინტერესო სიახლე გვექნება. აპრილ-მაისის თვეში ბიბლიოთეკების კვირეულის ჩატარება იგეგმება. სამომავლოდ, მუზეუმების კვირეულიც მოეწყობა, თუ ეპიდსიტუაცია ამის შესაძლებლობას მოგვცემს. აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას იმერეთის საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც ყოველ წელს ქუთაისში იმართება და ხარაგაულის სახელით ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი (დირექტორი ირინე ჩხეიძე) იღებს მონაწილეობას. “-განმარტავს ნიკოლოზ მაჭავარიანი.

აქვე გეტყვით, რომ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში პირველი მარტიდან განახლდა უსინათლოთა პროგრამის მეცადინეობები, რომელიც რვა თვიანია და მასში 12 ბენეფიციარია ჩართული. პროექტი მიზანად ისახავს შშმ პირთა ადაპტირებას საზოგადოებაში, რომლის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 11 ათასი ლარია გამოყოფილი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 15 მარტიდან აქტიურ სამუშაო რეჟიმს უბრუნდება ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, სამეჯლისო და ქორეოგრაფიული ცეკვების წრეები, ხალხური და საესტრადო სიმღერების ანსამბლები.

მარიამ შარიძაძე

ხარაგაულში სამეჯლისო - სპორტული ცეკვების შემსწავლელი წრე იხსნება

ხარაგაულში სამეჯლისო - სპორტული ცეკვების წრე დაიწყებს ფუნქციონირებას, რომლის ქორეოგრაფი გიორგი ბუაჩიძე იქნება. სამეჯლისო ცეკვების შესწავლა 5 წლიდან ნებისმიერი ასაკის მსურველს შეეძლება. მოყვარულებისთვის ასევე ჩატარდება ზუმბას -აერობიკისა და გამაჯანსაღებელი ვარჯიშების მეცადინეობები. გაკვეთილი კვირაში ორი დღე გაიმართება, რომლის ღირებულება თვეში 20 ლარი იქნება, ხოლო მოყვარულებისათვის - 25 ლარი.

გიორგი ბუაჩიძე არის საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის ოფიციალური წევრი და მე-3 კატეგორიის კვალიფიცირებული მსაჯი. იგი შვიდი წელია, დამოუკიდებლად მოღვაწეობს და რუსთავში აქვს საკუთარი სტუდია „Buacha Dance Group“. დღემდე არის მოქმედი მოცეკვავე სტუდია „თელაში“. პროფესიონალი მოცეკვავის სტატუსით არაერთხელ აქვს მონაწილეობა მიღებული ისეთი სატელევიზიო შოუების გახსნაში, როგორებიცაა: „ცეკვავენ ვარსკვლავები“, და „ორი ვარსკვლავი“.

სამეჯლისო - სპორტული ცეკვის წრეზე ჩასაწერად და დამატებითი ინფორმაციისათის დარეკეთ ნომრებზე - 551 131 504; 558 912 523

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის სოფლებში ტრანსპორტი იმოძრავებს

ხარაგაულის სოფლებს მუნიციპალური ტრანსპორტი მოემსახურება. მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნულ მომსახურებაზე ტენდერი გამოაცხადა და გამარჯვებული კომპანია 16 მარტს გამოვლინდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით 10 000 ლარი დაიხარჯება.

მოგახსენებთ, რომ ხარაგაული-თეთრაწყაროს მიმართულებით მიკროავტობუსი მოქალაქეებს ყოველდღე მოემსახურება და 18:00 საათზე გასული, კიცხის საზოგადოებრივ ცენტრამდე მივა. მგზავრობის ღირებულება ამ მიმართულებით 50 თეთრით განისაზღვრა. რაც შეეხება ხარაგაული-თეთრაწყაროს მარშრუტს, ხარაგაულის რკინიგზის სადგურიდან სოფელ თეთრაწყარომდე 30 -თეთრი, რკინიგზის სადგურიდან ხარაგაულის საავადმყოფომდე - 20 თეთრი, ხოლო სოფელ თეთრაწყაროდან ხარაგაულის საავადმყოფომდე 10 თეთრი ეღირება.

მუნიციპალური ტრანსპორტი ხუთშაბათობით იმოძრავებს ბაზალეთი-ქროლის მიმართულებით. სამარშრუტო ტაქსი რკინიგზის სადგურიდან ბაზალეთი-ქროლის მიმართულებით 10:00 -სთ და 14:30 სთ გავა, ხოლო ქროლი-ბაზალეთის საზღვრიდან რკინიგზის სადგურის მიმართულებით - 10:30 სთ და 15 სთ-ზე. მგზავრობის ღირებულება 50 თეთრია, ხოლო ბაზალეთამდე 30-თეთრი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზემოაღნიშნული ტრანსპორტი მგზავრების გადაადგილებას ხარაგაულის საავადმყოფომდეც უზრუნველყოფს.

მუნიციპალური ტრანსპორტი მოემსახურება სოფელ ფარცხნალის მცხოვრებლებსაც. მიკროავტობუსი ყოველ სამშაბათს რკინიგზის სადგურიდან სოფელ ფარცხნალის მიმართულებით 10:00 -სთ და 14:30 სთ-ზე გავა, ხოლო სოფელ ფარცხნალიდან 10:30-სთ და 15:00 სთ-ზე. მგზავრობის ღირებულება 30 თეთრი იქნება.

ეკა შავიძე

ფოტო კონკურსის „ზამთარი ხარაგაულში“ გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა

ფოტოკონკურსი, რომელიც ა (ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრმა“ პირველ თებერვალს გამოაცხადა, დასრულდა. კონკურსში სამი გამარჯვებული ფოტო გამოვლინდა, რომელთა ავტორებს ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. აღსანიშნავია, რომ სამივე საპრიზო ადგილი გოგონებმა გაინაწილეს. პირველ ადგილზე ღორეშაში მცხოვრები ელა რამიშვილი გავიდა, მეორეზე- ვარძიელი მარიამ ხიჯაკაძე, მესამე ადგილი კი ჭარტლის მკვიდრმა - ნოკა ყიფიანმა - დაიკავა.

„არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, დაგვეგეგმა ისეთი პროექტი, რომელიც ონლაინ ფორმატით ჩატარდებოდა. შესაბამისად, გამოვაცხადეთ ფოტოკონკურსი, რომლის შესახებაც ინფორმაციას სოციალურ ქსელში 14 ათასი ნახვა ჰქონდა. მოხარული ვართ, რომ კონკურსს კარგი გამოხმაურება მოჰყვა. სამომავლოდ აუცილებლად გვექნება სიახლეები,“-აღნიშნავს ჩვენთან საუბარში ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დირექტორი“, გია ჭიპაშვილი.

პირველ ადგილზე გასული ფოტოს ავტორი ელა რამიშვილი სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. „მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება, ჩემი ღამაზი სოფლის ფოტო ბევრი ადამიანისათვის გამეზიარებინა. აქამდე მსგავს კონკურსში მონაწილეობა არასოდეს მიმიღია. არ ველოდი, რომ ჩემი ფოტო ყველაზე მეტ მოწონებას დაიმსახურებდა, ეს ჩემთვის დიდი სტიმულის მომცემია. მადლობა კონკურსის იდეის ავტორებს.“-განმარტავს ელა რამიშვილი.

შეგახსენებთ, რომ ფოტოკონკურსი ერთი თვის განმავლობაში ონლაინ ფორმატით მიმდინარეობდა და მიზანი ხარაგაულის რაიონის ზამთრის საუკეთესო პეიზაჟების წარმოჩენა გახლდათ.

მარიამ შარიძაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12